№ 196 22 ენკენისთვე, შაბათი 1866—1879 22 ენკენისთვე, შაბათი № 196

დროება

ყოველ დღე ოთხშაბათის გარდა

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა — 8 მ., ნახევარ წლისა — 5 მ., სამის თვის — 3 მ., ერთის თვისა — 1 მ.

Цѣлкі номеріи ліриß шаурад.

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივ ცალკეროთ — 5 [illegible] — 3 [illegible] 4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შემოკლოს დ საბეჭდად გამგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელ სტ ტ ებ ავტორს არ დაუბრუნდება.

Цѣлкі номеріи ліриß шаурад.

ადგან ამ ნომრისათვის დანიშნული სტატიები ცენზურამ შეაჩერა ამის გამო დღეს მხოლოდ ნახევარი ნომერი გამოვა.

ოთხი თვის ხელის-მოწერა

„დროებაზე“

მიიღება რედაქციაში—ბაღის (სადოვის) ქუჩაზე ბ. შადინოვის სახლებში, № 33

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

ფასი ოთხი თვის გაზეთისა, ე. ი. 1 სექტემბრიდამ წლის დამლევამდინ, გაგზავნით—**სამი** მანეთი.

ტელეგრამები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ლონდონი, 17 სექტემბერს. სიმლიდამ მოვიდა ტელეგრამმა, რომ აჯანყებულ ავღანელების დასასჯელად გაგზავნილის ინგლისის ჯარის უფროსს ლენ. **რობერტს**, გამოუცხადებია ადგილი ხალხისათვის, რომ ბრიტანიის ჯარები ქალაქის ქაბულის დასაჭერად მოდიანო და ყველანი, ვისაც ქაბულის არეულობაში და ინგლისის ელჩების დახოცვაში მონაწილეობა არ მიუღია, დაეხიზნენითო. პროკლამაციაში გამოცხადებულია, რომ ვისაც თოფ-იარაღით დავიჭერთ, ისე მოვეპყრობით, როგორც მტერს ეკადრებაო.

სტამბოლი, 19 სექტემბერს. ევროპის სახელმწიფოებისაგან დანიშნულმა ხალხთა-შორის კომისიამ გაათავა სამხედრო სამზღვრების გაყვანა ბოლგარიასა და რუმელიას შუა. კომისიის გარდაწყვეტილებაზე ხუთი წევრი კომისიისა ერთის მხრით, ერთის აზრის იყვნენ; რუსეთის წარმომადგენელი წინააღმდეგი იყო კომისიისაგან გარდაწყვეტილ სამზღვრებისა; საფრანგეთისას თავის აზრი არ გამოუცხადებია. ამბობენ, რუსეთი თანახმა არ არისო, რომ დაყაბულდეს ამ გარდაწყვეტილებაზე, რადგან ამ სამზღვრების „გაყვანის შესახებ ყველა ს ხელმწიფოთა წარმომადგენლები თანხმანი არ იყვნენო.

პეტერბურღი, 19 სექტემბერს. „მმართებლობის მოამბეში“ დაბეჭდილია ხელმწიფე იმპერატორის ბრძანება, რომლითაც ქალაქს ურალსში ციხის სამხედრო ეკრესია (სობორო) უნდა აშენდეს.

პეტერბურღი, 19 სექტემბერს. ლივადიიდამ მოსული ტელეგრამმა გვაცნობებს, რომ ხელმწიფე იმპერატორი გუშინ შუადღეზე სევასტოპოლში წაბრძანებულა, დღეს დილის ცხრა საათზე იმას დაუთვალიერებია ჯარები და შემდეგ იალტაში წაბრძანებულა.

ბაზ. „რუსის ინვალიდში“ დაბეჭდილია, რომ ლენ-ლეიტ. ტერ-ლუკასოვი დანიშნება ქავკასიის მეორე არმიის კორპუსის კამანდირად, ბაქოს პოლკის კამანდირი პოლკოვნიკი ულუბეგი ინიშნება 79 ქვეითა ქურინის პოლკის კამანდირად, პოლკ. ზაპოსოსჩენკო ბაქოს პოლკის კამანდირად და ბორის ადგილობრივ კამანდირს უფროსი პოლკოვნიკი ალექსანდერი ფეთის ადგილობრივ კამანდის უფროსად.

პეტერბურღის ბირჟა, 19 ს ქტემბერს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი გამოცემის	— 94	— 87
მეორე — — —	— 93	— 87
მესამესი — —	— 93	— 62
მეოთხესი — —	— 93	— 50
ალმოსავლეთის პირ.	— 91	— 62
ალმოსავლეთის მეორე	— 91	— 62
ალმოსავლეთის, მესამე	— 91	— 50
ოქრო, ½ იმპერიალი	— 7	— 79
თფილ. თავად-აზნ. ბანკის		
გირაოს ფურცელი	— „	— „
შინაგანი 5% სესხის ბილეთები		

	მან.	კაპ.
პირველი სესხის—	— 231	— 25
მეორე სესხის —	— 226	— 50

1 მანეთი ლირს:

ლონდონი — —	25	— 25	პენსი
ბამბურღი — —	127	— 25	ცენტი
პარიჟი — — —	266	— 57	სანტიმი
ვენა — — —	214	— „	ჰფენიგი
ქავკასიის კერასინი —	—	—	

საქართველო

ღლიური

*** ქავკასიის აქეთა მხრის სამოქალაქო გამგეობიდამ სახელმწიფო ხაზინა მოელის მომავალ 1880 წლისათვის სულ 8,784,980 მანეთა შემოსავალს და გასავალს კი—8,483,623 მანეთსა. ასე რომ შემოსავალი 301,157 მანეთით გარდაემეტება გასავალს.

ზემოხსენებულ შემოსავალს შემდეგ საგნებიდამ მოელიან: გადასახადისაგან —2,200,309 მანეთს; ამ ფულებშივე ითვლება ურისა და ბათუმის მაზრებიდამ შემოსავალი გარდასახადი (250,000 მან.); სასმელების შემოსავალი—1,246,200 მან., ნავთის—17,000, თამბაქოს აქციზ —525,400, მარილის—300,678, დალოვნის—1,648,865, გერბის ქაღალდის—287,300, სუდების, აქტების და სხვა ბაჟის—125,200, ეაჭრობის უფლებისათვის გარდასახადი—650,000, მთის გამგეობის შემოსავალი—19,800, ფოჩტის—389,220, სახელმწიფო მამულებისა, თევზისა და სხვა—600,000, ტყის —187,000, სხვა-და-სხვა გადასახადის —262,750, შემოსავალი სხვა-და-სხვა წყაროებიდამ—265,914 მან., სულ, როგორც ზევით არის მოხსენებული, შესავალი უნდა იქმნეს 8;784,980 მანეთი.

იმ 301,157 მანეთით, რომელიც მომავალი წლის შემოსავალი გარდაემეტება გასავალს, უნდა დაკმაყოფილონ შემდეგი საჭიროებანი:

აბასთუმნის მადნის წყლის გამგეობისათვის—10,000 მან., თფილისის გუბერნიის მადნის წყლებისათვის უნდა დაიხარჯოს—6,000 მან., შვიდი უეზდის ხაზინისათვის, რომელნიც მომავალ წელს უნდა გაიხსნას—33,915 მან., ზემლემერების სასწავლებლისათვის, რომელიც აგრეთვე 1880 წელს გაიხსნება—24,767 მ., სხვა-და-სხვა სასწალებლებისათვის—100,000 მოემატება, ფოჩტის უწყების მოსამატებლად —32,271 და სხ.-და-სხვ.

ამ შემოსავალ-გასავლის ანგარიშიდან მკითხველი დაინახავს, რომ ქავკასიის აქეთა მხრიდამ რუსეთის ხაზინას იმაზე მეტი შემოდის, რამდენიც ამ მხრის სამოქალაქო გამგეობისათვის ეხარჯება.

*** ბაქოს გაზეთში იწერებიან, რომ ამ სექტემბრის 10-ს წასულა ამ ქალაქიდამ ჩიქიშლიარში ახალ-ტეკეს ექსპედიციის უფროსად დანიშნული ლენ. ლეიტ. ტერ-ლუკასოვი.

„დროების“ კორრესპონდენცია

თელავი, 11 სექტემბერს. ამ თვის 4-ს მომიხდა წასვლა სიღნაღიდამ თელავს. ორიოდე სიტყვა მინდა მოგახსენოთ ახლა იმაზე—თუ როგორი წესებია გზის სტანციებზე და როგორის კომფორტით (!) შეიძლება ამ ჩვენს ქახეთში მოგზაურობა.

მე ჩემის ერთი ამხანაკით ფოჩტის ტროიკით გიახლებოდით. იყო ბრწყინვალე დღე. ჩვენი იამშიკი გულ-მხიარულად იქნევდა მათრახსა და ერეკებოდა მშვენიერ სწორე გზაზე ცხენებს, ზარებების წკარაწკურის ხმის სიამოვნებით მიეჩქარებოდნენ ბაკურციხის სტანციისკენ.

მეც და ჩემი ამხანაკიც ესიამოვნებდით მითი, რომ უყურებდით მშვენიერ მწვანეთ ვაზებით სავსე ბაღებსა, შემოსილთ ყურძნის მტევნებით, რომლებიც ასე გონია გვილოცავდნენ კარგ მოსავალსა და გვპირდებოდნენ, რომ „თქვენც კი ჩვენის წვენის გემოვნებით გაგაძღობთ ცოტა ხანს შემდეგო!“

სიღნაღიდამ თელავამდი სამი სტანცია არის გარდა თვითონ სიღნაღისა და თელავისა: ბაკურციხისა, მუკუზნისა და აკურისა.

ღამის ცხრა საათი იყო, როცა ჩვენ მიველით აკურის სტანციაში. სტანციის ახლო ცხენების თავლიდამ ერთი საცოდავათ ტანისამოს-გაწეწილი ახალგაზდა ვაჟი გამოვიდა; ეს იყო იამშიკი. ჩვეულებრივ მოვიკითხეთ სტაროსტა. იამშიკმა გვიპასუხა, სტაროსტა არ გახლავთო.

— მაშ ვინ უნდა მიიღოს პადაროჟნა? გვიპასუხა:

— ბატონო, დავთარი გახლავთ, როგორც რიგია თქვენ უფრო კარგათ მოგეხსენებათ, ჩასწერეთ და რაც პრაგონი გვერგება, გვიბოძეთ, შეგიბამთ და წაგაბრძანებთ; მაგრამ გირჩევთ, ბატონო, რომ აქ დარჩეთ, რადგანაც ბნელი ღამე გახლავთ, ცხენებიც ვერ შეიძლებენ, ეს ერთი კვირა არის საჭმელი კანონიერათ არა აქვთ, დღესაც ქერი არ უჭამიათ. . .

— ვინ არის ამ ფოჩტის პატრონი?

— ვ. შ. ვახვახოვი გახლავთ.

— რატომ არ ატყობინებთ ამ გარემოებას?.

— ბატონო, ახლა გიახლებოდი ცხენითა შესატყობათა და თქვენც მობრძანდით კიდეც.

ამ ლაპარაკის დროს ნელ-ნელა მოახლოვდა ერთი მაღალ-მაღალი კაცი; ვკითხე იამშიკს: ეს ვინ არის, ესეც იამშიკია?

— არა, ბატონო, ეს ჩაფარი გახლავთ, იამშიკი ჩემის მეტი აღარ არის, მარტო მე ვარ და ამოხვრით დაუმატა: ამ საღამოს ჩხუბი მოგვივიდა, ჩემ ამხანაკ იამშიკებმა მცემეს, ტანისამოსი დამახიეს, ხუთი მანეთი და ორი აბაზი მომპარეს და გაიქცნენ, და ასრე დამარჩუნეს მარტოკა!...

— მაშ შენც რომ ჩვენ მოგვდევ, ვილა უნდა დარჩეს აქ სტანციაში?

— არ ვიცი; ბატონო, მეც ამაზედ, ვარ დაღონეაული!...

თუმცა გვეჩქარებოდა, მაგრამ აღარ მოვინდომეთ წასვლა; ბარგი გადმოვალაგებინე, მოვითხოვე სანთელი, შეველით მოგზაურობის მისაღებ ოთახში. ოთახი არის თეთრათ მოლესილი, ჭერი და პოლი მოფიცრული აკოშკები ფარდებით ჩამოფარებული, წყვილი კარგი ლოგინი თავის სტოლით და სკამებით, ერთის სიტყვით ყველაფრით შემკობილი. მაგრამ კარგ ოთახს ჩვენ კარგი ცხენები გვერჩია..

ჩაის დალევის დროს უთხარი ჩემ ამხანაკსა: რადგანაც ასეთ დგმოიარობაში არის ეს სტანცია, მოდი „ჟალობნაია კნიჟკას“ გავშინჯავ, საჩივრები ბევრი იქნება მეთქი. მაგრამ ბევრი გადავშალ-გადმოვშალე, თქვენ არ მომიკვდეთ, რომ ერთი ასოც ვერ ვიპოვნე. ჩემ ამხანაკმა მითხრა: „ეაკო, ნეტავი ვიცოდე, რასა ჰქექამ მაგ დავთარსა, რა დაგიკარგამ, რას ეძებ? ვისზე უნდა დაეწერათ, როცა არც სმოტრიტელია და არც იამშიკი!“

იმ ღამეს დავრჩით სტანციაში; მეორეს დღეს წამოველით თელავისკენ. თუ როგორი მგზავრობა გვქონდა აკურის სტანციიდამ, ამას მკითხველი მიხვდება: ცხენები შიმშილისაგან დასუსტებულიყვნენ, ტარებაში მოშლილ აკვანივით ირწეოდნენ; ცოტას გასწყდა ეს ცხენები და ტროიკა ჩვენი ასაკიდნი არ გახდნენ, ოც ნაბიჯის გადადგმაზე შედგებოდნენ და შეისვენებდნენ; ასე შევწუხდით ამ ცხენების საცოდაობით, თუ რომ მუშა ვინმე შეგვხვედროდა იმ დროს, არას დავიზოგავდით მისაცემათ, ხოლოთ ბარგი წამოველო და ჩვენც ფეხით წამოვსულვიყავით. ბოლოს როგორც იყო ისევ ცხენებმა დიდის წვალებით მიგვიყვანეს ჩვენ ადგილას.

ეს გზა იმიტომ ავწერე, რომ მინდა სხვა მოგზავრებიც არ ჩავარდნენ იმ ბედში, რა ბედშიაც და რა გაჭირებაშიაც ჩავვარდი მე

თელავის სტუმარი.

ფოთი-თფილისის რკინის გზა.

განცხადება

ფოთი-თფილისის გზის სამმართველო ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ 30 სექტემბერს და 1-ს ოქტომბერს **მცხეთიდამ** წამსვლელთათვის და უკანვე წამოსასვლელად დანიშნული არიან გაბსაკუთრებული მატარებლები ქვემო აღნიშნულის რიგით; იმ მატარებელში კი, რომელნიც მუდმივ მიდი-მოდიან, იგინი არ მიიღებენ.

30 ოქტომბერს

თფილისიდამ		მცხეთიდამ	
ღამისა 6 საათზე		ღამისა 7 საათზე	
1-ლს ოქტომბერს			
დილისა	7 საათ. 07 მინ.	დილისა	8 საათ. 07 მინ.
	8 საათ. 10 მინ.		9 საათ. 11 მინ.
	10 საათ. 01 მინ.		11 საათ. 01 მინ.
	11 საათ. 03 მინ.		12 საათ. 05 მინ.
	12 საათ. 10 მინ.		
შუადღისას	1 საათ. 24 მინ.		2 საათ. 15 მინ.
			4 საათ. 05 მინ.
	3 საათ. 13 მინ.		5 საათ. 17 მინ.
ღამისა	6 საათ. 10 მინ.	ღამისა	7 საათ 14 მინ.
	7 საათ. 17 მინ.		8 საათ. 18 მინ.
	8 საათ. 21 მინ.		9 საათ. 55 მინ.
	9 საათ. 58 მინ.		11 საათ. 05 მინ.

ყველა მატარებელში იქნება ადგილი 48 პასაჟირისათვის I კლასში, 128 II კლასში და 600 პასაჟირისათვის III კლასში.

დღესასწაულის დღეს და წინა დღესაც, თფილისისა და მცხეთის სტანციებში, პასსაჟირებისათვის ბილეთები გაიყიდებიან ოთხ კასსაში: I და II კლასების ბილეთები სამუდამო სტანციის კასსაში, მესამე კლასისა კი სამ დროებით გამართულ კასსებში შემდეგი ნომრებით № № 2, 3 და 4, სტანციის შენობის ახლოს. ყველა წამსვლელ მატარებლისთვის იმდენი ბილეთები გაიყიდებიან, რამდენიც ვაგონში ადგილებია. შემდეგ კისსები დაიკეტებიან და ახლად გაიღებიან ახალი მატარებელის მოსვლამდინ ნახევარ საათის წინათ.

იმ პასსაჟირებს, რომელნიც მატარებელში უბილეთოთ იქნებიან, გამოერთმევათ ორჯელ მომეტებული ფასი და მიეცემათ საკუთარი ბილეთები, რომელნიც ექნებათ რკინის გზის აგენტებს.

1 ოქტომბერს მცხეთაში, მეიდანზე, ფოჩტისა და რკინის გზის სტანციების შუა, დაუკრავს სამხედრო მუზიკა, დილის თერთმეტ საათიდამ ღამის თერთმეტ საათამდინ.

(3—1)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 21 Сентября 1879 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედ. ს. მესხი.